პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 222 (9063)
20 ნოემბერი,
ოთხშაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელს შეუწყობს შემოქმედებითი კავშირების, სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, თავდაცვითი და სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოთა აქტიურობის შემდგომ გადიდებას. ასრულებენ რა თავიანთ ფუნქციებს, ეს ორგანიზაციები მოწოდებული არიან მეტად უფრო მეტი წვლილი შეიტანონ პარტიის პოლიტიკის გატარებაში, იზრუნონ მათ რიგებში გაერთიანებულ მშრომელთა ინტერესების ყოველმხრივი გამოხატვისა და განხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანების მოქალაქეობრივი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულების პროექტიდან.

48

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს საბჭოთა კავშირის 1985 წლის ჩემპიონი — კიევის „დინამო".

თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:1.

ქუთაისში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და ხარკოვის „მეტალისტი".

მატჩის ანგარიშია 4:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები:

„სპარტაკი" — „დინამო" მნ. 3:0

„ზენიტი" — „ჟალგირისი" 3:1

„არარატი" — „დინამო" მ. 1:1

„ნეფთჩი" — „შახტიორი" 0:0

„დნეპრი" — „ქაირათი" 4:3

„ჩერნომორეცი" — „ტორპედო" მ. 3:2

I ლიგის ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი

თბილისელთა მეტოქეები

„ლელოს" 16 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდის უფროს მწვრთნელთან, სპორტის ოსტატ ციხანა აბუაშვილთან. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში მწვრთნელმა თქვა, რომ „ბურევესტნიკის" მიზანია თავისი ჯგუფის უძლიერეს ოთხეულში დაიმკვიდროს ადგილი. მიზნის მისაღწევად თბილისელ ფრენბურთელთათვის აუცილებელია სულ ცოტა ოთხი გუნდი ჩამოიტოვონ, ოთხი იმ შვიდი კოლექტივიდან, ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში თავიანთი ამოცანებით, გეგმებით, იმედებით რომ ჩამოვიდნენ და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ყოველ ღონესაც იხმარენ მიზნის მისაღწევად. დღეს გთავაზობთ თბილისის „ბურევესტნიკის" მეტოქეთა „სადარბაზო ბარათებს".

ლენინგრადის „ეკრანი" საკავშირო ჩემპიონატებში 1981 წლიდან მონაწილეობს. მან საკავშირო ასპარეზზე შეცვალა თანამოქალაქეთა მეორე კოლექტივი „ბურევესტნიკი", რომელიც 1955-75 წლებში საბჭოთა კავშირის ფრენბურთელ ქალთა გუნდების უძლიერეს ათეულში შედიოდა. „ბურევესტნიკი" არაერთხელ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი. გუნდში თამაშობდნენ ცნობილი სპორტსმენები. ერთ-ერთი მათგანი — ნატალია კუდრევა — საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა.

ბაქოს „ნეფთჩიმ" დიდი ფრენბურთის მწვერვალების იერიში 1953 წლიდან დაიწყო. 60-70-იან წლებში გუნდი ერთ-ერთ უძლიერესად ითვლებოდა ჩვენს ქვეყანაში. 1966 და 1972 წლებში „ნეფთჩიმ" მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები. 1967 წელს ამ გუნდის ბაზაზე შექმნილმა აზერბაიჯანის ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა. 60-70-იან წლებში „ნეფთჩის" ღირსებას იცავდა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ფრენბურთელი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ინა რისკალი.

ფრუნზეს „ბურევესტნიკი" 1965 წელს შეიქმნა და მაშინვე ჩაება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირში. აღსანიშნავია, რომ 1970 წელს „ბურევესტნიკმა" ყველა მეტოქეს აჯობა და თავის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. უმაღლესი ლიგის გზა მას მხოლოდ გათამაშების ფორმულის მორიგმა რეფორმამ გადაუკეტა. ფრუნზელებს არასოდეს უთამაშიათ უმაღლეს ლიგაში. აღსანიშნავია, რომ მათ გუნდში აღზრდილი ტატიანა სიდორენკო,

რომელიც ამჟამად ცსკა-ში გამოდის, წლეულს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა.

კაუნასის „დინამო" ზუსტად ათი წლის წინათ დაარსდა. 1980 წლიდან გუნდის უფროსი მწვრთნელია ვლადიმერ მაიზელი. „დინამოს" შემადგენლობა მეტად ახალგაზრდულია, მისი საშუალო ასაკია 19 წელი. თავის საუკეთესო შედეგს პირველ ლიგაში კაუნასელებმა შარშან მიაღწიეს, როცა მეხუთე ადგილი დაიკავეს.

მოსკოვის ოლქის მოპი 1960 წელს დაარსდა და საკავშირო სარბიელზე 1972 წლიდან გამოდის. 1977 წელს გუნდმა მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. უძლიერესთა შორის თავის საუკეთესო შედეგს მან 1979 წელს მიაღწია — მეექვსე ადგილი. გუნდში ძირითადად სხვადასხვა ინსტიტუტის სტუდენტები თამაშობენ.

დონეცკის „სპარტაკი" თბილისში მოასპარეზე გუნდებიდან ყველაზე „ახალგაზრდაა". იგი 1978 წელს დაარსდა. დონეცკელებმა წლეულს პირველად მოიპოვეს საკავშირო ასპარეზზე გამოსვლის უფლება. 1984 წელს დონეცკის „სპარტაკი" უკრაინის ჩემპიონი გახდა, ხოლო წელს ჯერ უკრაინისა და შემდეგ საკავშირო შესარჩევ ტურნირებში გაიმარჯვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველ ლიგაში დაიმკვიდრა ადგილი. გუნდის უფროსი მწვრთნელია ოლიმპიური ჩემპიონი, სპორტის საპატიო ოსტატი სტანისლავ ლუგაილო.

ნოვოსიბირსკის „კიროვეცმა" საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება მიიღო მას შემდეგ, რაც ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის გუნდებისათვის დაწესებული თასი მოიპოვა. რამდენიმე წლის მანძილზე გამოდიოდა უმაღლეს ლიგაში. საუკეთესო შედეგი — მეცხრე ადგილი (1983 წელი). „კიროვეცის" მოთამაშე ტატიანა კუნიცკაია საბჭოთა ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 1979 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა. გუნდი საკმაოდ კარგად არის მომზადებული ფიზიკურადაც და ტაქტიკურადაც, იგი უმაღლეს ლიგაში დაბრუნების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად ითვლება.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური პირველი ლიგის გუნდებისათვის. გთავაზობთ პირველი დღის შეხვედრათა შედეგებს: „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — მოპი (მოსკოვის ოლქი) 2:3, „დინამო" (კაუნასი) — „ნეფთჩი" (ბაქო) 3:2, „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ეკრანი" (ლენინგრადი) 3:0.

გულშემატკივართა საყურადღებოდ! მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით დღევანდელი მატჩების განრიგში ცვლილება მოხდა: თბილისის „ბურევესტნიკისა" და ბაქოს „ნეფთჩის" გუნდების შეხვედრა, ნაცვლად 17 საათისა და 30 წუთისა, დაიწყება ტურნირის საზეიმო გახსნის შემდეგ — 19 საათსა და 15 წუთზე, ხოლო ამ დროისათვის დანიშნული მატჩი ლენინგრადის „ეკრანსა" და დონეცკის „სპარტაკს" შორის გადმოტანილია 17 საათსა და 30 წუთისთვის.

ნონას ჩინებული სტარტი

ერევანი, 19 ნოემბერი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა 46-ე საკავშირო ჩემპიონატში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. დასამთავრებელი იყო 9 პარტია.

გაფრინდაშვილმა მოუგო სტეპოვაიას, სახატოვამ — სოფიევას, პიარნპუუმ — საუნინას, მატვეევამ — ხოროვეცს, ლიტინსკაიამ — რუჩიევას (ლიტინსკაიამ I ტურის პარტია მოუგო ხოროვეცს). გურიელი დაუზავდა მატვეევასა და მაფრანსკას, ფათალიბეკოვა — მუჩნიკს, ზაიცევა — სტეპოვაიას პარტია კვლავ გადაიდო.

3 ტურის შემდეგ ნონა გაფრინდაშვილს, მარტა ლიტინსკაიას (ლვოვი), გულნარა სახატოვას (ალმა-ათა) — 3-3 ქულა აქვთ, ნინო გურიელს, სვეტლანა მატვეევას (ფრუნზე), ლაილა პიარნპუუს (ტალინი), ლარისა მუჩნიკს (ნიკოლაევი) — 2-2.

გუშინ...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება დიდოსტატ ა. კოტოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

გუშინ გაიმართა VI ტური. იუდასინმა დაამარცხა დრაშკო. გურევიჩ — შაბანოვის, კალაი — გიორგაძის, ნევეროვ — რანტანენის, გურგენიძე — ხოისა და ლანჩ — პეტცის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

საკავშირო ფესტივალი მინი-კალათბურთში

6-დან — 6!

ახლახან მოსკოვში გაიმართა I საკავშირო ფესტივალი მინი-კალათბურთში — „ოლიმპიური იმედი". თბილისის გუნდმა **„მართვემ"**, რომლის შემადგენლობაში თამაშობდნენ 1973-1974 წლებში დაბადებული ბიჭები, ექვსივე შეხვედრა მოიგო. „მინი-კალათბურთს ჩვენ ჯერ კიდევ ამ გაზაფხულზე გავეცანით, როცა პირველი რესპუბლიკური ფესტივალისთვის ვემზადებოდით, — თქვა 58-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ, „გუნდის საუკეთესო მოთამაშის" პრიზის მფლობელმა ვანო გულუაშვილმა, — საერთოდ კი მწვრთნელ გივი ქილიტაურის ხელმძღვანელობით მეორე წელია ვსწავლობთ „დიდი კალათბურთის" თამაშს".

ს უ რ ა თ ზ ე: მინი-კალათბურთის საკავშირო ფესტივალის ჩემპიონი, თბილისის „მართვეს" გუნდი. მესამე რიგში (მარცხნიდან): უფროსი მწვრთნელი გივი ქილიტაური, ლევან ბაქრაძე, იმედა მუშკუდიანი, ელდარ ლაზიშვილი, იგორ მურაიტოვი, ვასილ ოთიურიძე, მწვრთნელი ავთანდილ ბარამიძე, მეორე რიგში: მინდია ხაზარაძე, კახა ჯორბენაძე, ზურაბ ჩუბინიძე, ვანო გულუაშვილი, მამუკა აბრამიძე, პირველ რიგში: კახა ბარამიძე, კობა ადამაშვილი.

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო.

თბილისის 58-ე სკოლაში სულ ექვსი „სპეციალიზებული" კლასია, რომლებშიც მომავალი კალათბურთელები სწავლობენ. ზოგიერთმა მათგანმა თავი გამოიჩინა მოსკოვში: ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ აღიარეს ელდარ ლაზიშვილი (სიმაღლე 188 სმ), „საუკეთესო სნაიპერის" პრიზი კახა ჯორბენაძეს ხვდა. „მართვეს" ნორჩმა კალათბურთელებმა თავი ისახელეს ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებულ რამდენიმე სხვა „სახეობაშიც". მათ პირველი ადგილი არავის დაუთმეს... ცეკვაში, მეორენი იყვნენ სიმღერების კონკურსში.

მაგრამ, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანია გამარჯვება მინი-კალათბურთში. თბილისის განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლის (დირექტორი ლევან ჩხიკვაძე) მოსწავლეები ხომ ქართული კალათბურთის მომავალი გახლავთ (ნარკვევს ბავშვთა ამ კოლექტივის შესახებ ახლო მომავალში შემოგთავაზებთ).

პაატა ბოჟორიშვილი.

ძიუდო

ვახტანგ ჯაფარიძე, გელა ბერუაშვილი და ავთანდილ გუბელაძე...

დელემონი (შვეიცარია). იუნიორ ძიუდოისტთა ევროპის პირველობაში ხარკოველი იბრაჰიმ ცოროევი (71 კგ) ოქროს მედალს დაეუფლა. ბრინჯაოს ჯილდოები თბილისელებმა **ვახტანგ ჯაფარიძემ** (60 კგ), **გელა ბერუაშვილმა** (95 კგ), ქუთაისელმა **ავთანდილ გუბელაძემ** (მძიმე წონა), კრასნოიარსკელმა სერგეი კლიშინმა (78 კგ) და ალმაათელმა ალი ხამხოევმა (65 კგ) მოიპოვეს.

ყველაზე ბევრი ოქროს მედალი ფრანგებმა მიიღეს. ჩემპიონები გახდნენ: ჟან-მარი ლე სონი (60 კგ), ბრუნო კაბეტა (65 კგ) და პასკალ ტაიო (70 კგ).

დანარჩენ წონებში პირველი ადგილები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ალექს ლობენშტაინმა (86 კგ), ჰოლანდიელმა ტეო მეიერმა (95 კგ) და პოლონელმა რაფაელ კუბაცკიმ (მძიმე წონა) დაისაკუთრეს.

დებიუტანტი მწვრთნელი

ყველაფერი ენთუზიაზმით იწყება

გურჯაანში კრივის სექცია მუშაობსო, რომ მითხრეს, თავდაპირველად ვერც დავიჯერე, რადგან ასეთი რამ ჩვენი რაიონისთვის უცხო ხილია. მერე გავიკითხ-გამოვიკითხე, მივდექ-მოვდექი და სულ მალე მივაგენი კიდეც ამ სექციას გურჯაანის ძველ საავადმყოფოში. ორიოდე საფეხური ჩავიარე, ნახევრად სარდაფში ჩავედი, შემდეგ ჩაქუჩის ხმას გავყევი და მივადექი მოკრივეთა ადგილსამყოფელს, დარბაზის კვალობაზე პატარა რომ ეთქმის, ოთახის კვალობაზე კი — დიდი. ახალგაზრდა კაცი ბეტონის იატაკზე ჩაჩოქილიყო და სატეხს გამეტებით ურტყამდა ჩაქუჩს. იქვე მეხუთე თუ მეექვსეკლასელი ბიჭი იდგა და გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ის ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა კრივის სექციის ხელმძღვანელი — თამაზ ლაზაშვილი. ერთმანეთს გავეცანით.

...თამაზ ლაზაშვილი გურჯაანის მკვიდრია. კრივში ვარჯიში თელავში დაიწყო 1972 წელს. 1973-76 წლებში თბილისში ვარჯიშობდა ჯერ ვივი დარბაისელის, შემდეგ— ალიხან ხატოევის ხელმძღვანელობით. 1973 წელს ქალაქის პირად პირველობაზე მეორე იყო, 1975 წელს კი საქართველოს პირველობაში მესამე ადგილი დაიკავა. 1977 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. ვოლგოგრადში შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი. 1979 წელს გურჯაანში დაბრუნდა. აქედან დაიწყო მისი თავდაუზოგავი შრომა, რასაც ჩვენ ზოგჯერ უბრალოდ, ენთუზიაზმს ვეძახით.

— „რა ვიცი, აბა, როგორ ვთქვა, რასაც ხედავთ, ყველაფერი ჩემი და ჩემი ბიჭების ნაცოდვილარია, — მეუბნება თამაზი.—კედლებიც ჩვენ შევღებეთ, სინათლეც ჩვენ შევაკეთებინეთ, საშხაპეც ჩვენ მოვაჯახირეთ, ახლა ხელთათმანების შეძენაო, ახლა ათასი სხვა რამე... რინგი უნდა მოვაწყოთ... სავარჯიშო ტომრები ჩემმა ვოლგოგრადელმა მასწავლებელმა და მეგობრებმა მაჩუქეს. გათბობის საქმეც მოსაგვარებელია!..

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ თამაზ ლაზაშვილმა გურჯაანში კრივის სექციის გახსნა მოიწადინა. რომ არაფერი გამოვიდა და მხარი არავინ დაუჭირა, ისევ ენთუზიაზმის იმედზე დარჩა, თვითონ მოუყარა თავი მოწადინებულ ბავშვებს, სადაც ადგილს ნახავდა, იქ ავარჯიშებდა, უფრო ხშირად კი ღია ცის ქვეშ მეცადინეობდნენ. კარგა ხანს ასე გაგრძელდა. მერე ეტყობა, იფიქრეს, ეს მაინც თავისას არ დაიშლისო და 1984 წლის დეკემბერში ძველ საავადმყოფოში გამოუყვეს დარბაზი.

— სექცია ოფიციალურად რომ გაიხსნა, — იხსენებს თამაზი, — მსურველიც ბევრი გამოჩნდა. ეგ კი არა, ყვარლის სოფელ თივიდან ერთი ორმოც წელს მიტანებული კაცი ჩამოვიდა, მეზობელი მჩაგრავს და ჩხუბი მასწავლეო. ახლა უკვე ამორჩევაზეა საქმე. მეც ზალისი მემატება, ამდენ მსურველს რომ ვხედავ. ბიჭებიც ბეჯითად ვარჯიშობენ. აღარც მშობლები ჯიუტობენ, ჩვენ შვილებს კრივზე არ ვატარებთ, არავის ვაცემინებთო. რას იზამ, ასეთი მშობლებიც იყვნენ და დღესაც არიან. ახლა ორმოცდაათამდე მოზარდს ვავარჯიშებ. ნელნელა გამოიკვეთა მყარი ჯგუფი, საიმედო ბიჭები არიან. რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა.

მოწადინებამ, საქმის ერთგულებამ, თავდადებამ თავისი ნაყოფიც გამოიღო: წლეულს თებერვალში ნორჩმა გურჯაანელმა მოკრივეებმა წარმატებით იასპარეზეს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლის ღია პირველობაში. 36 კგ წონით კატეგორიაში პირველი იყო გურჯაანელი მოსწავლე ნუკრი ულიხანოვი, ვანო თოდაშვილს მეორე ადგილი ხვდა, მალხაზ აბესაძეს — მესამე. 19-22 მაისს თბილისში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე თამაზ ლაზაშვილის შეგირდებმა მართლაც რომ განსაცვიფრებელ შედეგს მიაღწიეს — ოთხი პირველი და სამი მეორე ადგილი დაიკავეს! წონითი კატეგორიების მიხედვით პირველნი იყვნენ: ბერდია მინაშვილი (38 კგ), ვანო თოდაშვილი (42), კობა თასოევი (52), გოჩა ნაზღაიძე (69). მეორე ადგილზე გავიდნენ —დათო მურაკაშვილი (48), ვლადიმერ ფრიდონაშვილი (52), მალხაზ აბესაძე (56).

ახლა გურჯაანელები საქართველოს მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობისთვის ემზადებიან, რომელიც ნოემბრის ბოლო რიცხვებში ქუთაისში უნდა ჩატარდეს.

— კაცი გაჭირვებისას კეთილი სიტყვით რომ დაგეხმარება, ისიც არ უნდა დაგავიწყდეს. ახლა შენ ის იკითხე, ხელს რომ გამოგიწვდის!.. დავით კვაჭაძე — ჩვენი სახელოვანი მოკრივე — ყურადღებას არ გვაკლებს. არც პირადად მისი დახმარება მაკლია, არც მისი სკოლის. ასე რომ არ იყოს, ნამდვილად გამიჭირდებოდა მუშაობა...

თამაზ ლაზაშვილისთანა ენთუზიასტებს კი, თუ მხარდამჭერი ექნებათ, ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ. გურჯაანელ მოკრივეთა მაგალითიც ხომ ამისი დასტურია.

ალექსი პაპოშვილი.
„ლელოს“ საკ. კორ.
გურჯაანი.

ლახტის წრეში

თხოვნა ყურად არ იღეს

სარედაქციო ფოსტას ყოველდღიურად ათობით წერილი მოაქვს. ამ წერილთა ერთი ნაწილი თითქმის იდენტურია: მკითხველები დახმარებას გვთხოვენ. მოედანი გადაგვიხნეს, სპორტული ბაზისთვის ადგილს ვერ იმეტებენ, ფიზკულტურა არავის ახსოვს, სპორტული დარბაზი საწყობად იქცა... რას არ ამოიკითხავთ ამ ბარათებში. ზოგიერთები ტელეფონით გვატყობინებენ მსგავს ფაქტებს, ზოგი კი თავისი ფეხით მოდის რედაქციაში.

ოთარ ლომიტაშვილმაც თვითონ მოგვაკითხა და აი, ეს ბარათი გადმოგვცა (ფოსტით ვაპირებდით გამოგზავნას, მაგრამ აქეთ მომიხდა გამომგზავრება და თან წამოვიღეო): **„თხოვნით მოგმართავთ ქარელის რაიონის სოფლების სამწევისისა და თათარაანთ უბნის ახალგაზრდები. ფეხბურთის მოედანი არასოდეს გვქონია, ადგილი არ იყო შესაფერისი და არც არავინ შეგვიწუხებია, მაგრამ შარშან, როცა მდინარე ძამაზე ხიდი აშენდა და ჯებირი გაიმართა, მოედნის მოწყობის საშუალება გაჩნდა. ჩვენც დავტრიალდით, ჩვენი ფულით ტრაქტორი დავიქირავეთ, ჯებირს აქეთა ტერიტორია მოვასწორეთ და საფეხბურთო მინდვრის ფორმა მივეცით, მაგრამ გრუნტი ქვალორღიანია და იქ ბურთს ვერ ითამაშებ. კეხიჯვრის საბჭოთა მეურნეობის დირექციას (დირექტორი ოთარ ლომიტაშვილი) ვთხოვეთ მინდორზე მიწის შემოსაზიდად მანქანა გამოეყო, საერთოდ, დაგვხმარებოდა მოედნის გამართვაში. არც ჰო უთქვამთ, არც უარი. შემდეგ რაიონის სპორტკომიტეტიც შევაწუხეთ, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. ამასობაში წელიწადნახევარზე მეტი გავიდა. ახლა თქვენგან ველით დახმარებას. იქნებ მიაწვდინოთ ხმა ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელებს“.**

ამ წერილს ხელს აწერენ ოთარ ლომიტაშვილი, გია ცხოვრებაშვილი, ოთარ ბუთურიშვილი და სხვა ახალგაზრდები.

ვიმედოვნებთ, რომ კეხიჯვრის საბჭოთა მეურნეობის დირექცია გაგვარკვევს, რატომ დარჩა უყურადღებოდ ახალგაზრდების თხოვნა და რატომ ჭიანურდება საფეხბურთო მოედნის მოწყობა.

მუშაობა გამოსწორდა

გორის რაიონის სოფელ ახრისის სარაიონთაშორისო მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურული მუშაობა თითქმის ჩაშლილი იყო, მაგრამ ახლა მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ აქ მეთოდისტად მიიწვიეს სპორტის ოსტატი ნოდარ ვათიაშვილი, რომელმაც შეძლო ქაღალდზე არსებული სექციები აემოქმედებინა — სპორტულ სარბიელზე გამოჩნდნენ ფეხბურთელები, მოჭიდავეები, მეცადინეობა დაიწყეს მოჭადრაკეებმა, მოშაშეებმა და ა. შ. მეურნეობაში მოეწყო მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი. აქ არის ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის სათამაშო მოედნები, საჭიდაო არენა. სოფელ ციცაგიანთ კარში — მინი ფეხბურთისათვის განკუთვნილი მინდორიც აქვთ.

მეურნეობის დირექტორმა რევაზ დოთიაშვილმა, რომელმაც არც ისე დიდი ხნის წინ გაიხადა ფეხბურთელის ბუცები (თამაშობდა „ქართლში“ და ერთხანს „დილაში“), შეაქო ახრისელთა ფიზკულტურული კოლექტივი, მაგრამ აქვე საყვედური გამოთქვა ფიზკულტურასთან და სპორტთან მწყრალად მყოფი ახალგაზრდების მიმართ. მათი ინერტულობის ერთ-ერთ მიზეზად მეურნეობის დირექტორმა სპორტული პროპაგანდის ჩაშლა დაასახელა. მართალიცაა, ამ მხრივ რომ ყველაფერი წესრიგში იყოს, უსაქმური ახალგაზრდები სანთლით საძებარნი იქნებოდნენ.

...ახრისელთა ფიზკულტურული „ამქარი“ 230 წევრს აერთიანებს, მათგან 156 ახალგაზრდა სპორტულ სექციებშია ჩაბმული, ბევრი მათგანი აქტიურად მონაწილეობს რაიონულ ღონისძიებებში.

აქ იმართება შიდასამეურნეო სპარტაკიადები, რომლის პროგრამაშია ფეხბურთი, კროსი, ჭადრაკი, შაში და სპორტის სხვა სახეობები.

ფიზკულტურელებს კარგად ამარაგებენ სპორტული ფორმებითა და ინვენტარით. ამისათვის მეურნეობამ ახლახან დამატებით კიდევ 1.100 მანეთი გამოჰყო.

ილია თევდორაშვილი.
(„ლელოს“ კორ.)

ვინ იყო პირველი რეკორდსმენი?

მკითხველი— გაზეთი

● ამბობენ, რომ პირველი ქართველი მძლეოსანი, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა ნინო დუმბაძეა. სწორია თუ არა ეს და თუ სწორია, გვაინტერესებს რომელ წელს მიაღწია მან ამ სარეკორდო შედეგს?

დავით ფურცხვანიძე.

— 1925 წლის 19 აგვისტოს თბილისელმა მძლეოსანმა ივანე სერგეევმა მოსკოვში წითელი არმიის სპორტსმენთა საკავშირო პირველობაზე ხელყუმბარა 75 მეტრსა და 80 სანტიმეტრზე ტყორცნა და ამერიკელი ტომპსონის მსოფლიო რეკორდს (74 მ. 92 სმ) გადააჭარბა. 1936 წლის 27 ოქტომბერს თბილისში დიმიტრი იოსელიანმა ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში ამერიკელ ევრის მსოფლიო რეკორდს (3 მ. 47,5 სმ) გადააჭარბა და 3 მ. 48,5 სმ აჩვენა.

სერგეევმა და იოსელიანმა სარეკორდო შედეგი მძლეოსნობის ნაკლებად პოპულარულ, ე. წ. არაკლასიკურ სახეობებში აჩვენეს, თუმცა ამ შედეგებს თავის დროზე დიდი რეზონანსი ჰქონდა.

1939 წლის 18 სექტემბერს, მოსკოვში, მძლეოსანთა საკავშირო პირველობაზე ნინო დუმბაძემ ბადრო 49 მეტრსა და 11 სანტიმეტრზე ტყორცნა და 80 სანტიმეტრით გააუმჯობესა გერმანელი მძლეოსნის ჟიზელა მაურმაიერის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი.

რეპლიკა

შეკითხვა კოლეგებს:

რატომ არის ფიზკულტურა და სპორტი ასე მოკრძალებული „განახლებული მესხეთის“ ფურცლებზე?

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა განხორციელების თაობაზე მსჯელობისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ პიროვნების ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება პარტიის საპროგრამო მოთხოვნა და ჩვენი საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური პროგრესის საფუძველია.

ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს, მათ შორის ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა მაქსიმალურ მობილიზაციას, სიტუაციის სათანადოდ შეფასების უნარს, საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომას, დიდ პასუხისმგებლობასა და ინიციატივას მოითხოვს. ცხადია, ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას რაიონული და საქალაქო გაზეთების წინაშეც. მათ სისტემატურად უნდა გააშუქონ ადგილობრივი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების საქმიანობა, პროპაგანდა გაუწიონ მოსახლეობის აქტიური დასვენების ორგანიზაციის ახალ ფორმებსა და მოწინავე გამოცდილებას, მოუწოდონ ფიზკულტურისა და სპორტის მესვეურებს საქმისადმი ახლებურად მიდგომისაკენ, არ მოერიდონ კრიტიკულ შეფასებებს.

განსაკუთრებული გულისყურის გამოჩენა მართებთ იმ რაიონებში, რომელთაც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მიეთითათ ზოგიერთ მნიშვნელოვან უბანზე ჩამორჩენისათვის. აქტივის კრებაზე სხვებთან ერთად დასახელებული იყო ადიგენის რაიონიც, სადაც „ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაციონალურ გამოყენებას. სპორტულ ნაგებობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოუვლელია, სუსტად არის აღჭურვილი ინვენტარითა და მოწყობილობით, პროპაგანდის ტექნიკური და თვალსაჩინო საშუალებებით. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა აქ თვითდინებაზეა მიშვებული“.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. საქმის სასიკეთოდ შემობრუნებისათვის თავისი სიტყვა უნდა ეთქვა საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს ორგანოს „განახლებულ მესხეთს“. სამწუხაროდ, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის ნომრების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ დღემდე გაზეთს არ დაუსახავს აღნიშნულ ხარვეზთა გამოსწორების კურსი, ვერ იქცა გზამკვლევად ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

უნდა ითქვას, რომ ამ გაზეთის ფურცლებზე ფიზკულტურისა და სპორტის საკითხები უსისტემოდ შუქდება. მაგალითად, აგვისტოში ფიზკულტურასა და სპორტს საერთოდ ადგილი დაეთმო მხოლოდ ერთ ნომერში — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, 10 აგვისტოს. თანაც, იმ დღეს დაბეჭდილი ფოტოინფორმაცია გვაცნობს მოლდავეთის სსრ ლაზოვის რაიონის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ სპორტულ ტრადიციებსა და ლენინგრადის ოლქის სპორტსმენებს. ცხადია, კარგია მეგობართა საქმიანობის გაცნობა, მაგრამ იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, ჩვენ რით მოვიწონოთ თავი, მით უმეტეს, თუ ინფორმაციაში იმასაც აღვნიშნავთ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანის ჯანმრთელობას ქვეყნის დიდ სიმდიდრედ მიიჩნევენ, რომ ფიზიკური კულტურა ხალხის სიჯანსაღის მძლავრ საშუალებად და შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდ სტიმულად ითვლება. იმავე ნომერში გვთავაზობენ გამოჩენილ ადამიანთა მოსაზრებებს სპორტის შესახებ. ესაა და ეს.

სხვა მასალათა უმრავლესობა ძირითადად ინფორმაციული ხასიათისაა, თემატიკა — ერთფეროვანი. თვალში გვეცემათ საფეხბურთო, კერძოდ ადგილობრივი გუნდის „ზარზმის“ შეხვედრათა ანგარიშების სიჭარბე. აქა-იქ გვხვდება ინფორმაციები ფრენბურთზე, შაშზე, ჭადრაკზე. ვიწრო ავტორთა და მოწვეულ სპეციალისტთა წრე. ძალზე სუსტად შუქდება რაიონის ფიზკულტურული კოლექტივების ცხოვრება და მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. პრობლემებზე საუბარია გაკვრით, ზოგადია კრიტიკული შენიშვნებიც, რომლებიც მხოლოდ ფაქტის კონსტატაციითა და მოწოდებით ამოიწურება. საყურადღებოა 29 ოქტომბრის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორ-მეთოდისტის ნ. მამულაშვილის წერილი „მშდ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის თეორიული მოთხოვნები“. კარგი კი იქნებოდა ავტორს თეორიული საკითხების გვერდით რაიონში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების შესახებაც ეთქვა ორი სიტყვა.

გაზეთში საერთოდ არ აისახა ის მიმართულებები, რაც საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ წამოაყენა დღის წესრიგში. დამაფიქრებელი ფაქტია: აქტივის კრების მოთხოვნებს გაზეთმა მხოლოდ ამ კრების ჩატარების თაობაზე გამოქვეყნებული ცნობით და ფიზკულტურის საკითხის შესახებ ზოგადი მოწოდებით უპასუხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაშორისო ტურნირში გამარჯვებული

ასილ
ნიანი

ური ჭიდაობა)

დაიბადა 1966 წელს, ლენტეხის რაიონში.

სიმაღლე — 168 სმ. წონა — 62 კგ.

სპორტსაზოგადოება „დინამოს" (ქუთაისი) წევრი.

ვარჯიში დაიწყო 1979 წელს.

ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი.

მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ჯემალ კოხტავა და გურამ დათიაშვილი.

პირველ წარმატებას 1983 წელს მიაღწია. ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში II საპრიზო ადგილი დაიკავა. იმავე წელს სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში ჩარიცხეს.

1985 წელს გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი მოზრდილთა შორის, ერთი წლით ადრე კი ახალგაზრდა მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირ „მეგობრობაში" გაიმარჯვა.

ირველი
არიერი

ტურნირს საერთაშორისო შე- …ა კალენდარში თვალსაჩი- …ლი უკავია და ამიტომ, … ჩვენში, ისე უცხოეთში, სა- …პულარობით სარგებლობს. … კავშირის გმირის სულთან …ტოვის ხსოვნისადმი მიძღ- …ჯიბრებაში, რომელიც ტრა- …ად, სეზონის მიწურულს …ში ტარდება, ბულგარეთის, …თის, უნგრეთის, რუმინეთ- … საბჭოთა კავშირის ორასზე …ალგაზრდა ათლეტი მონა- …ა. მსუბუქ წონაში (62 კგ) … ადგილი საქართველოს წა- …ენელმა ვასილ ონიანმა და- …რესაში დაწვრილებით ამ …ბის შესახებ არაფერი და- …, ამიტომ ჩვენ საგანგებოდ … გამარჯვებულის ერთ- …ვრთნელს გურამ დათიაშ- … ვთხოვეთ თავისი აღსაზ- …ხლოს გაეცნო მკითხველი- …ლმა-ათის ტურნირის დე- … მაშინ დავაზუსტეთ.

…ა შვიდი შეხვედრა ჩაატა- …ვიდივე ლამაზად მოიგო. …წრეში უკრაინელი სერგეი …წმინდად დაამარცხა, მერე … ფედერაციის წარმომადგენლებს შეებრძოლა: ოლეგ ზინოვიევს ქულებით აჯობა, ვლადისლავ პლიევს კი წმინდად მოუგო. გაათრებული იცავდა თავს მასპინძელთა გუნდის წევრი კანატ ბეისემბაევი, მაგრამ მაინც დამარცხდა. ბოლო სამი შეხვედრა ვასილ ონიანმა წმინდად მოიგო — დაამარცხა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ალექსი ბელოუსოვი, უნგრელი იოზეფ ოტილო და კიეველი ოლეგ კაგრამანიანი. ფინალური ბრძოლა უკრაინელ მოჭიდავესთან 2 წუთი და 57 წამი გაგრძელდა.

ალმა-ათის ტურნირი ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატისთვის ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრება იყო. მომავალი წლის თებერვალში ამ ციკლის მეორე ასპარეზობა კრასნოდარში ჩატარდება. აპრილში კი საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ახალგაზრდული ნაკრები დაკომპლექტდება. ონიანმა პირველი ეტაპი, როგორც ხედავთ, წარმატებით გაიარა და თუ დანარჩენ შეჯიბრებაშიც იმარჯვებს, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურსაც მიიღებს.

ზელთა საკავშირო

…ან ანდიჟანში გაიმართა …ზოგადოება „ლოკომოტი- …ნტრალური საბჭოს პირადი …ბა ძიუდოში ჭაბუკთა შე- …ჯიბრებაში მონაწილე 150 …ნს შორის იყო ჩვენი რე- …ს 8 წარმომადგენელი. მე- …ლი დაიკავა **მევლუდ ლობჟანიძემ** (83), მესამე — **რომეო თანდიაშვილმა** (83) და **ვაჟა მამულაშვილმა** (62).

სამივე ქართველი მოჭიდავე „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა ნაკრებში შეიყვანეს.

თენგიზ არაბული.

ასასვლელის" პრიზზე

…რში დაიწყო ახალგაზრ- …ბურთელთა ტრადიციული … ტურნირი „გადასასვ- …, რომლის მონაწილე გუნ- …ბრძვიან ყოველკვირეულ … „ფუტბოლ-ჰოკეის" პრი- …ებაში პირველად ჩაებნენ მესამე ზონის გუნდები (აზერბაიჯანი, ლიტვა, სომხეთი, ლატვია, უკრაინა).

საქართველოს ნაკრები სოჭის ჯგუფში გამოდის, მასთან ერთად II ზონაში მონაწილეობენ ტაჯიკეთის, მოლდავეთისა და ყირგიზეთის გუნდები.

ნირი დამთავრდა

…ბილისში დამთავრდა 4 … ტურნირი, რომლებიც იბ- … საქართველოს საფეხბურ- …იონატის I ჯგუფში დარ- …ულებისთვის.

…ა ბოლო 2 მატჩი. თერ- …„სპორტლასა" და წალენ- …რის" შეხვედრა დამთა- …რედ — 3:3, ხოლო ჩხოროწყუს „სამეგრელომ" და ხობის „კოლხეთმა" აგრეთვე, ითამაშეს ფრედ — 1:1.

ამრიგად, 4 გუნდის დამატებით ტურნირში ბოლო ადგილი დაიკავა ხობის „კოლხეთმა", დებულების შესაბამისად, გაისად იგი საქართველოს პირველობაზე გამოვა II ჯგუფში.

იდენტის ვარაუდით

…ვზერს მეხიკოში ფეხბურ- … მსოფლიო ჩემპიონატის … ტურნირის კენჭისყრა …. ფიფა-ს პრეზიდენტმა …ელანჟმა განაცხადა, რომ … წესი ოთხი დღით ად- …ლდება.

…რი ტურნირის ოცდაოთ- …ენლე ჯგუფებში წინას- …თესებიან". პირველ ჯგუ- …ზიდენტის აზრით, უნდა …ტალიის (როგორც … ჩემპიონი), მექსიკის … ტურნირის მასპინძელი), …პოლონეთის, საფრანგეთის და ბრაზილიის გუნდები. მეორეში — სამხრეთ ამერიკის გუნდები (ურუგვაი, არგენტინა, პარაგვაი), აგრეთვე ევროპის სამი ნაკრები (ჰოლანდიის ან ბელგიის, საბჭოთა კავშირის და ინგლისის). მესამე ჯგუფში შევლენ ალჟირის, მაროკოს, სამხრეთ კორეის, კანადის, ერაყის ან სირიის და შოტლანდიის ან ავსტრალიის გუნდები.

მეოთხე ჯგუფში ნავარაუდებია უნგრეთის, ბულგარეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, დანიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელთა შეყვანა.

კიდევ ერთი გზის დასაწყისი

შარშან შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი ჩეხოსლოვაკიელ თანატოლებთან თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გამართა. გზა, რომელიც 16 წლის სპორტსმენებმა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაიწყეს, ძნელად სავალი, მაგრამ იღბლიანი გამოდგა. საბჭოთა ნაკრებმა ორი მატჩის ჯამში სძლია ჩეხოსლოვაკიელებს და ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა, შემდეგ კი უნგრეთში ჩატარებულ გადამწყვეტ ასპარეზობაში ყველა მეტოქეს აჯობა და ევროპის ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. ფეხბურთის ქომაგებს კარგად ახსოვთ ისიც, რომ სხვებთან ერთად ოქროს მედლები ოთხ თბილისელ ფეხბურთელსაც გადაეცა. კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ ალან კულუმბეგოვი, ზაზა რევიშვილი, ვასილ მიქაშავიძე და მამუკა ფანცულაია. ახლა ჯერი მათზე ერთი წლით უმცროს მოთამაშეებზე მიდგა: წლევანდელ შეჯიბრებაში მონაწილეობენ 1969 წლის 1 აგვისტოს შემდეგ დაბადებული ჭაბუკები. სასიამოვნოა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში საქართველოდან კვლავ ოთხი ფეხბურთელია. „ლელოს" გუშინდელ ნომერში უფრო ახლოს გაგაცანით მიხეილ კალატოზიშვილი და დავით პეტრიაშვილი, ზურაბ ჯორბენაძე და ბახვა თედეევი, დღეს კი გთავაზობთ საუბარს ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელთან, რსფსრ-ის დამსახურებულ მწვრთნელთან ბორის იგნატიევთან. თუმცა მანამდე უმჯობესია გაგაცნოთ ნაკრების სრული შემადგენლობა, ანუ ის 19 ფეხბურთელი, რომლებიც დღევანდელი მატჩისთვის ემზადებოდნენ:

მეკარეები — გ. ხტაუჩე (ალიტუსი), ვ. პჩელნიკოვი (კანდალაქშა); მცველები — ო. ბენკო (ლვოვი), ვ. ივანოვი (ლენინგრადი), ს. გაზდანოვი (ორჯონიკიძე), ს. ზაეცი (კიევი), ო. ტაბუნოვი (მოსკოვი), მ. კალატოზიშვილი (თბილისი); ნახევარმცველები — ს. შჩეტნიკოვი (მინსკი), დ. ხამუხა (აშხაბადი), რ. კაპუსტასი (კაუნასი), ს. ტიმოფეევი (მოსკოვი), ა. ტიმოშჩენკო (დონის როსტოვი), დ. პეტრიაშვილი (თბილისი); თავდამსხმელები — ო. სალენკო (ლენინგრადი), ს. გორკაევი (კიევი), ბ. თედეევი (ცხინვალი), ს. კირიაკოვი (მოსკოვი), ზ. ჯორბენაძე (თბილისი). ნაკრების უფროსი მწვრთნელი ბორის იგნატიევი და მისი თანაშემწეები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნიკოლოზ ამირეჯიბი და სპორტის ოსტატი გენადი კოსტილევი. ამ ფეხბურთელთაგან შეარჩევენ თერთმეტ მოთამაშეს, რომლებიც დღეს, 15 საათზე, „ლოკომოტივის" სტადიონის მინდორზე გამოვლენ. მათი მეტოქე იქნება კიპროსის ჭაბუკთა ნაკრები. ინტერვიუ იგნატიევთან სწორედ მეტოქეზე საუბრით დავიწყეთ.

— გულახდილად უნდა ითქვას: კიპროსის ჭაბუკთა ნაკრები არ მიეკუთვნება ძლიერი გუნდების რიცხვს. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ ასაკის ფეხბურთელებისაგან ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი. პირველი მატჩი კიპროსში დიდი ანგარიშით (4:0) მოვიგეთ, მაგრამ თამაშის დასაწყისში საკმაოდ გაგვიჭირდა: ჩვენს ბიჭებზე უარყოფითად იმოქმედა ხანგრძლივმა მგზავრობამ და 35-გრადუსიანმა სიცხემ, ქალაქ ლიმასოლში რომ დაგვხვდა. კიპროსელები ტექნიკურად მშვენივრად არიან მომზადებული, ფიზიკურად კი აშკარად მოიკოჭლებენ. პირველმა ტაიმმა შედარებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა (ჩვენ მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შევძელით), შესვენების შემდეგ კი მასპინძლებს დაღლა დაეტყოთ და ჩვენი უპირატესობა საგრძნობლად გამოიკვეთა. წინასწარ რაიმეს თქმა არ მიყვარს, მაგრამ არა მგონია ხელიდან გავუშვათ ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის შესაძლებლობა.

⊙ **თუ არ ვცდები, ეს შეჯიბრება 1986 წლის გაზაფხულზე უნდა გაიმართოს. რომელი ქვეყანა უმასპინძლებს ფინალურ ტურნირს?**

— საბერძნეთი. 30 აპრილიდან 12 მაისამდე ამ ქვეყნის ფეხბურთის მოყვარულნი უთუოდ საინტერესო ასპარეზობის მოწმენი გახდებიან.

⊙ **ვინ მიგაჩნიათ ჩემპიონატის მთავარ ფავორიტად?**

— მოხარული ვარ, რომ საშუალება მომეცა მენახა 16 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა თითქმის ყველა უძლიერესი ნაკრები გუნდი. მათგან ბევრს ჩვენი ბიჭები შეხვედრიან კიდეც. პირადად ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა იუგოსლაველი ჭაბუკების თამაშმა. იუგოსლავიის ფეხბურთი მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკით, იმპროვიზაციით, მიმზიდველობითა და სილამაზით, მაგრამ ამ გუნდის წევრები სხვა საფეხბურთო კომპონენტებში არავის დაუდებენ ტოლს, თუ, რა თქმა უნდა, საგაისოდაც შეინარჩუნეს კარგი სპორტული ფორმა. ძლიერი ნაკრები ჰყავს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასაც. სხვათა შორის, წლეულს უნგრეთის საერთაშორისო ტურნირში ორივე ამ გუნდს ვეთამაშეთ: იუგოსლაველებთან შეხვედრა ფრედ დავამთავრეთ (1:1), ხოლო ფინალში გდრ-ის ჭაბუკებს მოვუგეთ (3:1) და პირველი ადგილიც მოვიპოვეთ.

სურათებზე: საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელები (მარცხნიდან): გენადი კოსტილოვი; ბორის იგნატიევი (უფროსი მწვრთნელი) და ნიკოლოზ ამირეჯიბი·

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

საბჭოთა ნაკრების გუშინდელი წვრთნის მომენტი.

⊙ **საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ალბათ ჩემპიონატისთვის მზადების საუკეთესო საშუალებაა. საინტერესოა, პირველად როდის მოუყარეთ თავი ნაკრების კანდიდატებს, როდის დაიწყო გუნდის უშუალო მზადება ევროპის პირველობისთვის?**

— კანდიდატებს შერჩევა ჯერ კიდევ შარშან დავიწყეთ, წლეულს კი იანვარში, მათგან საუკეთესონი პირველ საწვრთნელ შეკრებაზე მოვიწვიეთ. დაახლოებით იმავე დროიდან გამოიკვეთა ნაკრების 12-13-კაციანი ბირთვი, რომლის მხრებზე გადადის კიდეც ძირითადი დატვირთვა. ამ ხნის მანძილზე მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში. გავიმარჯვეთ საფრანგეთის ქალაქ მონტეგიუში ჩატარებულ ასპარეზობაში, უნგრეთში გამართულ „ოქროს თავთავის" ტურნირში, მეორე ადგილი დავიკავეთ ტაშკენტის საერთაშორისო შეჯიბრებაში. ამ ხნის მანძილზე ჩავატარეთ ოცამდე საერთაშორისო მატჩი, რომელთაგან მხოლოდ ერთი წავაგეთ და ერთიც ფრედ დავამთავრეთ.

⊙ **დაახლოებით რამდენი ფეხბურთელის გამოცდა მოგიხდათ, სანამ არჩევანს ამ 19 ჭაბუკზე შეაჩერებდით?**

—ზუსტი ციფრების დასახელება ძალიან გამიჭირდება: ჩვენ ხომ უყურადღებოდ არ ვტოვებთ ჭაბუკთა არც ერთ საკავშირო ტურნირს, ვესწრებით ათობით და ასობით მატჩს, ვაკვირდებით მონაწილეებს და მხოლოდ საუკეთესოებს ვიწვევთ შეკრებაზე. ამჟამინდელი წინასამატჩო შეკრება წლეულს რიგით მეცხრეა. ამ ხნის მანძილზე გამოვცადეთ 93 ფეხბურთელი (ვგულისხმობ მხოლოდ შეკრებებზე მოწვეულ სპორტსმენებს), რაც საკმაოდ ბევრია. გარდა ამისა, ჩვენ მჭიდრო კონტაქტები გვაკავშირებს სხვადასხვა რესპუბლიკასა და ქალაქში მომუშავე მწვრთნელებთან, რომელთა რეკომენდაციებს მუდამ ყურადღებით ვეკიდებით. ერთი სიტყვით, ნაკრებში მხოლოდ რჩეულნი მოხვდნენ და, ვფიქრობ, ისინი არ გააწბილებენ ფეხბურთში ესოდენ ღრმად ჩახედულ თბილისელ გულშემატკივარს.

⊙ **საუბრის დასაწყისში ბრძანეთ, რომ ჩვენი ბიჭების ფიზიკური მომზადების დონე საკმაოდ მაღალია. რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ კომპონენტს 16 წლის ფეხბურთელებში?**

— თქვენს შეკითხვაში იგრძნობა შეშფოთება იმის გამო, რომ საბჭოთა ფეხბურთელების დიდი ნაწილი მართლაც მხოლოდ ათლეტური მომზადების ხარჯზე აღწევს წარმატებას. ასეთ დროს კი, როგორც წესი, იკარგება მოთამაშეთა ინდივიდუალობა, ფეხბურთელები ერთმანეთს ემსგავსებიან და თვით თამაშიც კარგავს მიმზიდველობას, ნაკლებ სანახაობრივი ხდება. სწორედ ამიტომ ვცდილობთ, ის ვარჯიშებიც კი, რომლებიც გამიზნულია სისწრაფისა და ფიზიკური გამძლეობის გამომუშავებაზე, ბურთით ჩავატაროთ. ჩვენი უპირველესი მიზანია ფეხბურთის თამაში ვასწავლოთ ბიჭებს, თორემ სირბილის სწავლა ყველას შეუძლია. საერთოდ, ფეხბურთელის მომზადებაში მთავარ როლს ბურთი უნდა ასრულებდეს და მხოლოდ ეპიზოდურს — შტანგა, ჰანტელები და მსგავსი იარაღები.

⊙ **შეკითხვებით თავს აღარ შეგაწყენთ. დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.**

— მეც მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს მასპინძლებს — საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს, საერთოდ, თქვენი რესპუბლიკის სპორტის მესვეურებს. ისინი ყოველმხრივ ხელს გვიწყობენ, ნაყოფიერი ვარჯიშისა და დასვენებისთვის ყოველგვარ პირობას გვიქმნიან. თუ ფინალური ტურნირის საგზურის მოპოვება შევძელით, ამაში მათი წვლილიც იქნება.

საუბარი ჩაიწერა
დავით კაკაბაძემ.

შეხვედრა საფრანგეთის გუნდთან

ლუცერნში (შვეიცარია). მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს პირველი გუნდური ჩემპიონატის III ტურში საბჭოთა ნაკრები შეხვდა საფრანგეთის გუნდს. ძირითად დროში მხოლოდ ა. ჩერნინმა მოიგო. გადადებული ხუთი პარტიიდან სამში მაინც უპირატესობა ჩვენი მოჭადრაკეების მხარესაა. რთულ პოზიციაში გადაიდო სოკოლოვის პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას საბჭოთა ნაკრებმა ჩინეთის გუნდთან ნათამაშევ ოთხ პარტიაში 3,5 ქულა მოაგროვა. ერთი პარტია კვლავ გადაიდო.

III ტურის დანარჩენი მატჩების შედეგები: ინგლისი — გფრ 4:1 (1), უნგრეთი — არგენტინა 3:1 (2), შვეიცარია — ჩინეთი 1,5:1,5 (3), რუმინეთი — აფრიკის ნაკრები 4:0 (2).

საბჭოთა კავშირ — საფრანგეთის მატჩის გადადებული პარტიების დამთავრებისას ბელიავსკიმ მოიგო, სმისლოვმა შეხვედრა ყაიმით დაამთავრა, ხოლო სოკოლოვი დამარცხდა. ორი პარტია კვლავ გადაიდო.

გფრ-ის გუნდთან ინგლისელ მოჭადრაკეთა შეხვედრის ანგარიშია 4:2.

ამრიგად, ინგლისის ნაკრებს 12,5 ქულა აქვს, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის გუნდებს 10-10 ქულა და სამ-სამი გადადებული პარტია.

დიდი პოეტების ხსოვნისა

ვანი, 19 ნოემბერი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.). რაიონის ახლადგახსნილ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების ხსოვნისადმი მიძღვნილი II ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: დიდოსტატი რატმირ ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი), საერთაშორისო ოსტატები ზურაბ აზმაიფარაშვილი (თბილისი), მიხეილ პოდგაეცი (ოდესა), სპორტის ოსტატები გია გიორგაძე, იური ჩიქოვანი (ორივე — თბილისი), გენადი ტუნიკი (კიევი), ვალერი ჟიდკოვი (გორკი), მიხეილ კრასენკოვი (ბათუმი), ოსტატობის კანდიდატები ვარლამ ვეფხვიშვილი (თბილისი), ბესიკ ხეცურიანი (ტყიბული), ივანე სიფრაშვილი (სიღნაღი) და გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია).

I ტურში დაზავდნენ ჩიქოვანი — ხოლმოვი, ტუნიკი — გიორგაძე. აზმაიფარაშვილმა დაამარცხა ჟიდკოვი, კრასენკოვმა — სიფრაშვილი, ტყებუჩავამ — ვეფხვიშვილი. არ შედგა ხეცურიანი — პოდგაეცის შეხვედრა. II ტურში სიფრაშვილმა მოუგო ვეფხვიშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ ხეცურიანი — აზმაიფარაშვილი, ტყებუჩავა — ტუნიკი, პოდგაეცი — ხოლმოვი, ჟიდკოვი — კრასენკოვი. არ შედგა გიორგაძე — ჩიქოვანის პარტია.

დიდი პოეტების ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი 28 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ანზორ მაჩიტიძე,
მემორიალის მთავარი მსაჯი, ვანის საჭადრაკო კლუბის დირექტორი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ვის გაუღიმებს ჭადრაკის ქალღმერთი კაისა?

1986 წლის 5 იანვრიდან ქალაქებში ბრეჟნევსა და დაუგავპილსში ჩატარდება მოსწავლეთა (გოგონათა და ვაჟთა) საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრებებში საქართველოს წარგზავნილებიც მიიღებენ მონაწილეობას.

და აი, გუშინ, თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეების შესარჩევი ტურნირები. გოგონები იბრძვიან საკავშირო პირველობის ოთხი საგზურისათვის, ჭაბუკები — ორისთვის. გოგონათა შორის საქართველოს ჩემპიონი, 12 წლის სოფიკო ნიკოლაძე (ქუთაისი) პირველობაში პერსონალურადაა მიწვეული.

გოგონათა ტურნირში მონაწილეობენ: ქეთევან კახიანი, ივეტა კურცხალია, ცირა მერეკლიშვილი, ქეთევან მარდალეიშვილი, ნინო გელავა, ნათია წკეპლაძე, მარინე გაგნიაშვილი, ნათია ჯანჯღავა, ქეთევან აბაშიძე, ნანა შუბლაძე (ყველა — თბილისი), მაია ხუციშვილი (გარდაბანი), მაკა ცხვედიანი, თეა ლანჩავა (ორივე — ქუთაისი); ჭაბუკთა ტურნირში — საქართველოს ჩემპიონი ნუკრი მანაგაძე, ხვიჩა სუპატაშვილი (ორივე — ქუთაისი), დავით ლობჟანიძე, ალექსანდრე იოსელიანი, რამაზ მჭედლიშვილი, კახა შალამბერიძე, თამაზ ტაბატაძე, ზაზა ხოფერია, აკაკი იაშვილი (ყველა — თბილისი), გია გოგოლაძე (ჩოხატაური), სანდრო დგებუაძე, რეზო ჭურღულია (ორივე — ზუგდიდი), რომან სიჭინავა (ცხაკაია), რეზო ბალათურია (სოხუმი).

შესარჩევი ტურნირები 2 დეკემბრამდე გასტანს.

პირველია ელენა ახმილოვსკაია

საბჭოთა მოჭადრაკე ქალთა გამარჯვებით დამთავრდა გამოჩენილი უნგრელი საჭადრაკო მოღვაწის ლასლო ალფეიდის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ამავე დროის უნგრეთის ღია ჩემპიონატიც იყო.

შეჯიბრებაში, რომელშიც 5 ქვეყნის 13 წარმომადგენელი მონაწილეობდა, დიდ წარმატებას მიაღწია დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ (ბიჭვინთა) — 9,5 ქულა. II ადგილი დაიკავა სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, საერთაშორისო ოსტატმა რიმა ბილუნოვამ (მოსკოვი) — 7,5.

III ადგილი წილად ხვდა 16 წლის ილდიკო მადლს — 7. იგი მეორედ გახდა უნგრეთის ჩემპიონი ქალთა შორის. შარშან კი ილდიკომ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის ტიტულები თანატოლ გოგონათა შორის მოიპოვა.

ულოცავენ ეტიუდისტები

გამოჩენილ საბჭოთა ეტიუდისტის, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის ალექსანდრე ბრონის დაბადების 75 წლისთავს მისი მშობლიური ქალაქის სვერდლოვსკის გაზეთმა „ნა სმენუ" მიუძღვნა საკავშირო კონკურსი ეტიუდების შედგენაში.

კონკურსს მსაჯობდა თავად იუბილარი — ცნობილი მეცნიერი-მეტალურგი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბრონი. საკონკურსოდ წარდგენილი იყო 160 ეტიუდი, მათ შორის ქართველი ეტიუდისტების ნამუშევრებიც.

იუბილარმა განსაკუთრებით მოიწონა საერთაშორისო ოსტატ დავით გურგენიძისა და ვაჟა ნეიძის ერთობლივი ნამუშევარი და მას I-II პრიზები მიაკუთვნა. V პრიზით აღნიშნა დიდოსტატ გია ნადარეიშვილის ეტიუდი, ხოლო V საპატიო შეფასებით — საერთაშორისო ოსტატ ვალემირ კალანდაძის ნაწარმოები.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის ყოველთვიური ბიულეტენის მე-20 ნომერში.

ჰეესინკი თავის თავზე და... სხვებზე

იაპონიაში ამ ამბის გახსენება არ უყვართ, მაგრამ როგორც კი საუბარი ლეგენდარულ ჰოლანდიელზე ჩამოვარდება, იძულებული არიან ჭეშმარიტება აღიარონ.

ეს ლეგენდარული პიროვნება გახლავთ ჰოლანდიელი ანტონ ჰეესინკი — 50-60-იანი წლების უძლიერესი ძიუდოისტი, რომელმაც ათჯერ მოიგო ევროპის პირველობა, სამჯერ მსოფლიო ჩემპიონატი, 1964 წელს კი ოლიმპიური ტურნირი. იაპონელი სპეციალისტები ძიუდოში წონით კატეგორიებს არ სცნობდნენ. მაგრამ ანტონ ჰეესინკის გამოჩენამ დიდ სარბიელზე ისინი გულწრფელად დააშინა. 198 სანტიმეტრის სიმაღლის გიგანტი, რომელიც 120 კილოგრამზე მეტს იწონიდა, ნებისმიერ ტურნირს ადვილად იგებდა და ძიუდოს ფუძემდებლებს ფაქტიურად არანაირ ჯილდოს არ უტოვებდა. სწორედ ამ დაუმარცხებელი ჰოლანდიელის გამო წავიდნენ დათმობაზე იაპონელები და წონითი კატეგორიების დაწესებას შეურიგდნენ.

ჰეესინკი ახლა 51 წლისაა, უფრო დამძიმდა (უკვე 140 კილოგრამს იწონის) მაგრამ სპორტულ ფორმას მაინც ინარჩუნებს. წლეულს გაზაფხულზე ჰეესინკმა ავსტრიაში იმოგზაურა, დაესწრო ძიუდოს ცენტრის „ბუდოკანის" საზეიმო გახსნას და ეს ინტერვიუც მაშინ მისცა ჟურნალისტებს.

● **კმაყოფილი ხართ თუ არა ცხოვრებით?**

— რატომ არ უნდა ვიყო კმაყოფილი. კარგი ოჯახი მაქვს, მყავს ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე, სამი შვილი და ორი შვილიშვილი. სამუშაოსაც არ ვემდური.

● **სპორტთან თუ გაქვთ რამე საერთო?**

— ორ საქმეს ვუთავსებ ერთმანეთს. პირველი სწორედ ძიუდოსთანაა დაკავშირებული: ჰამარენში სპორტული ცენტრის „პონიპარკის" კოორდინატორად ვითვლები. ამას გარდა იაპონიის მიწათმოქმედებისა და მეთევზეობის სამინისტროში მრჩევლის პოსტი მიკავია.

● **ეს ალბათ ძიუდოს სამშობლოში თქვენი პოპულარობის შედეგია?**

— იაპონელებს, როგორც ჩანს, დიდხანს ვემახსოვრები.

● **ძიუდოსთვის დრო თუ გრჩებათ?**

— როგორც კი თავისუფალ დროს მოვიხელთებ, სარბიელზე გავდივარ. ადამიანი საკუთარ ჰაბიტუსზე ჩემს ასაკშიც უნდა ზრუნავდეს.

● **როგორ აფასებთ თანამედროვე ძიუდოს, თქვენი დროის ჭიდაობისგან თუ განსხვავდება?**

— ჩემს დროს სხვა წესები იყო. ბრძოლა უფრო დიდხანს გრძელდებოდა. ეს საშუალებას გვაძლევდა ილეთები ლოგიკურ დასასრულამდე მიგვეყვანა. ახლა ძიუდოისტები მუდმივად „ცაიტნოტში" არიან და, ცხადია, ჩქარობენ. სიჩქარეში კი შეცდომებსაც ბევრს უშვებენ. დღევანდელ ძიუდოისტს, მხედველობაში მყავს საერთაშორისო კლასის მოჭიდავე, არა აქვს საშუალება ილეთი ბოლომდე მიიყვანოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეხვედრას აგებს. ეს ძიუდოს სანახაობრივ მხარეს აქვეითებს, სპორტსმენებს სტერეოტიპულ მოძრაობებს აჩვევს. ამის გამო, ალბათ, დღევანდელი ძიუდოისტები საოცრად რომ ჰგვანან ერთმანეთს.

● **და მაინც, მათ შორისაც არიან ალბათ გამორჩეულნი?**

— რა თქმა უნდა, არიან. ერთი ასეთი იამასიტა გახლდათ. ძალიან მომწონს საბჭოთა ძიუდოისტი პესნიაკი და ავსტრიელი ზაიზენბაჰერი. ეს სამეული თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ძიუდოს „ვარსკვლავთა" ჯგუფს.

● **იამასიტაზე მეტს ვერაფერს იტყვით?**

— შესანიშნავი სპორტსმენია?

● **მას ხომ შვიდი წლის განმავლობაში არ წაუგია ბრძოლა?**

— ამ შემთხვევაში უპირატესობა ჩემს მხარესაა. 1951 წლიდან 1967 წლამდე ჩემი წაქცევა მხოლოდ სამჯერ შეძლეს. არა და მე უფრო მეტ ტურნირში გამოვსულვარ, ვიდრე იამასიტა, ჯერ მარტო ევროპის თერთმეტ ჩემპიონატში ვმონაწილეობდი.

● **ოცი წლით ახალგაზრდა რომ იყოთ, იამასიტას დაამარცხებდით?**

— ყოველ შემთხვევაში ჩვენი ბრძოლა უსათუოდ ლამაზი სანახავი იქნებოდა. იამასიტა მართლაც ბრწყინვალე სპორტსმენია, მაგრამ ათი სანტიმეტრით უფრო მაღალი რომ იყოს იდეალური ძიუდოისტი იქნებოდა.

● **ვინ მიგაჩნიათ ძიუდოს ისტორიაში ყველაზე დიდ მოჭიდავედ?**

— იაპონელი მინატოია, რომელიც რამდენჯერმე გახდა მსოფლიო ჩემპიონი (მსუბუქ წონაში). ჩემის აზრით, ასეთი ტექნიკურად სრულყოფილი ათლეტი ძიუდოს არ ჰყოლია. თუმცა სხვადასხვა ეპოქისა და წონის მოჭიდავეთა ერთმანეთთან შედარება ძნელი საქმეა.

■ ■ ■ ■ ■

კალეიდოსკოპი

მსოფლიო ჩემპიონი აფრთხილებს

ამ მოძრაობამ მთელს მსოფლიოში დიდი პოპულარობა და ავტორიტეტი მოიპოვა. სპორტსმენები სულ უფრო ხშირად და გაბედულად იმაღლებენ ხმას მშვიდობის დასაცავად, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ფორუმებში.

ოქტომბრის შუა რიცხვებში დორტმუნდის „ვესტფალენჰალეში" მოეწყო სოლიდარობის დიდი მიტინგი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ ქალაქ ოფენბახის პედაგოგი, 33 წლის კორნელია ჰანიში. ამ სპორტსმენს საფარიკაო სამყაროში კარგად იცნობენ. 1979 წლიდან 1985 წლამდე მან სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. ჰანიში ოლიმპიური ჩემპიონია გუნდურ ჩათვლაშიც.

კორნელია საქმიანი და გულახდილი საუბრის მომხრეა. „ჩვენ კარგად გვიცნობენ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყურს გვიგდებენ და სჯერათ, ამიტომ ჩვენ გულახდილად უნდა ველაპარაკოთ ხალხს, დავარწმუნოთ ისინი, რომ გამალებულ შეიარაღებას სამყარო კატასტროფისკენ მიჰყავს".

მიმომხილველთა აზრით

შვეიცარიის გაზეთ „ჟურნალ დე ჟენევი" დეტალურად მიმოიხილავს მსოფლიოს საჩოგბურთო სეზონის მიღწევებს და აღნიშნავს, რომ სპორტის ეს სახეობა საერთო აღმავლობის გზაზე დგას. გაზეთის აზრით, მას შემდეგ, რაც ჩოგბურთი ოლიმპიური სახეობა გახდა, ინტერესი მისდამი ერთიორად გაიზარდა, რომ შვეიცარიაში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში თავი ისახელეს აღმოსავლეთის ქვეყნების ჩოგბურთელებმა. მიმომხილველი ქებით იხსენიებს საბჭოთა სპორტსმენებს, პირველ რიგში ჩესნოკოვს და ზვერევს. ანდრეი ჩესნოკოვი მას ახალი თაობის ლიდერად მიაჩნია: „დარწმუნებული ვართ, რომ იგი მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში სულ მალე საპატიო ადგილს დაიკავებს".

სპეციალისტებს აშკარად მოსწონთ ზვერევის თამაშიც და მასაც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ: „ამ ჩოგბურთელს აქვს ის, რაც საერთაშორისო კლასის ოსტატს სჭირდება. აკლია მხოლოდ ფსიქოლოგიური სიმტკიცე. მაგრამ ამ ნაკლის გამოსწორება დროის საქმეა".

ორმოცდაშვიდი წლის ჩემპიონი

იგი მსოფლიო ჩემპიონი 47 წლის ასაკში გახდა. იტალიელი ლეონარდო ბრილიატორი 27 ქვეყნის პლანერისტთა შორის საუკეთესო აღმოჩნდა. მან ყველა კონკურენტს აჯობა. მაგრამ ჩემპიონატის საზეიმო დახურვას ვერ დაესწრო — შვებულება გაუთავდა და რომში დაბრუნდა. ჩემპიონის ოქროს მედალი მეგობრებმა ჩამოუტანეს.

ლეონარდო პლანერიზმმა 33 წლის წინათ გაიტაცა. მაშინ იგი 14 წლისა იყო. მას შემდეგ ხან პლანერით დაფრინავს, ხან თვითმფრინავით. ჰაერში ყოფნის საერთო „სტაჟი" 3600 საათს აღემატება. „ეს არც ისე ცოტაა, მაგრამ თავისუფალი რომ ვიყო, ვარჯიშს ალბათ მეტ დროს მოვანდომებდი". ლეონარდო ქარხანაში მუშაობს. მხოლოდ უქმე დღეებში ვარჯიშობს.

ასაკი ხელს არ მიშლის — აცხადებს იგი, — მსოფლიო ჩემპიონატში 50 წელს გადაცილებულებიც გამოდიოდნენ. 1987 წელს ავსტრალიის მსოფლიო ჩემპიონატში ერთხელ კიდევ ვცდი ძალას, მერე კი დასვენებაზეც შეიძლება ვიფიქრო, ოღონდ ჩემი მემკვიდრე უსათუოდ იტალიელი უნდა იყოს.

კალეიდოსკოპი

რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩიჩილაძე.

ეკრანზე
და
ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 20 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);**

საკავშირო რადიო. 20 ნოემბერი. ტანვარჯიში — **6.15** და **7.15;** საწარმოო ტანვარჯიში — **12.00.**

საქართველოს ტელევიზია. 20 ნოემბერი. საქართველოს საფეხბურთო პირველობაზე (მიმოხილვა) — **17.25;** საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი) — **21.05** (19 ნოემბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი).

საქართველოს რადიო. 20 ნოემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) — **21.45.**

ძიუდოს რესპუბლიკური ფედერაცია, გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ბიძინა მაზიაშვილს მამის

დიმიტრი ადამ ძე მაზიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
68435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ბოჭორიშვილის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22